დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ენთელის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მედეა მაქაცარია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

ნათია ქოქუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ცნობილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ენთელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222721712

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ადიგენის მუნიციპალიეტეტი სოფელი ქვემო ენთელი
ფაქტობრივი მისამართი	ადიგენის მუნიციპალიეტეტი სოფელი ქვემო ენთელი
საფოსტო ინდექსი	0300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	KvemoEnteli@mes gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591412129

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 8 26 0000163843, 13/02/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 12-13 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	2 შენობა - ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ენთელი მე-2 ქუჩა, N 1; ადიგენის მუნიციპალიტეტის

				სოფელი ქვემო ენთელი პირველი ქუჩა, N32
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	1 შენობა - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვემო ენთელი, მე-2 ქუჩა, N 1;
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	1 შენობა - ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ენთელი მე-2 ქუჩა, N 1;

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-		

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80 (ოთხმოცი)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
.		
...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

	(ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების	• *სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 30.08.2026 -მდე უფლებამოსილი ორგანოსგან მოიპოვოს რეაბილიტირებული შენობის ექსპლუატაციის* *უსაფრთხოების განახლებული დასკვნა.* • *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.08.2026 - მდე, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საბაზო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.8.2026 - მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სივრცის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური	
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.8.2026 - მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სივრცის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან	**რჩევა:** სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**რჩევა:** სასურველია სკოლის შენობაში ნაწილობრივ დამონტაჟებული ცეცხლმაქრები დაიმუხტოს, ასევე სასურველია სკოლის ორივე შენობაში დამონტაჟდეს შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრები.
ინდიკატორი N3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	**რჩევა:** რადგან სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული აქვს ექთნის პოზიცია, სასურველია „სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქციაში“ დაკორექტირდეს „ექიმი“ სახელწოდება და ნაცვლად ექიმისა განისაზღვროს ექთანი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლება (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საფეხური*	*რჩევა*

ინდიკატორი N.2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**უცხო ენები** - რჩევა: სასურველია, სამომავლოდ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები. ***მათემატიკა*** **- რჩევა:** სასურველია, გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (მაგალითად, მე-5, მე-7, მე-11 კლასის) კურიკულუმი და მოხდეს მისი მეტად დატვირთვა შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თითოეული თემატური ბლოკი დამუშავდეს/დასრულდეს შემოქმედებითი პროდუქტით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ინტეგრირებას და სასწავლო პროცესის უფრო მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ სტრუქტურირებას მესამე თაობის ესგ-ს პრინციპების შესაბამისად.
ინდიკატორი N.2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**მათემატიკა - რჩევა:** სასურველია გადაიხედოს მე-2კლასის კურიკულუმი, რათა ზოგიერთ თემასთან (მგ, "მონაცემები") სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში მათემატიკის სტანდარტთან. სევე სამიზნე ცნებებთან სასურველია არწეროთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფასგლებში (მგ, პირველი კლ); **საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია, საგან მე და საზოგადოებაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.

		ასევე, მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოში, სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საგან ისტორიის (8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში) და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში (11 კლასის კურიკულუმი) მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად.
ინდიკატორი N.2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოებში (მე-7, მე-11 და მე-12 კლასებში) დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია ეტაპობრივად გაძლიერდეს სკოლის ბაზაზე არსებული ქიმიისა და ფიზიკის ექსპერიმენტული სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული რესურსები, რათა გაიზარდოს პრაქტიკული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. სამომავლოდ, სკოლას ქონდეს საკუთარი ლაბორატორია. მიზანშეწონილია

		ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში სასწავლო რესურსების გამოყენება თემატურ ერთეულებთან უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული და განისაზღვროს, რომელი მატერიალური რესურსი გამოიყენება კონკრეტული საკითხის სწავლებისას. **სახელმწიფო ენა - რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **მათემატიკა - რჩევა:** სასურველია ზოგიერთი კლასის კურიკულუმშიც (მაგ, მე10, მე-11) ზოგიერთ თემასთან მოხდეს დამხმარე ციფრული რესურსების უფრო აქტიური ინტეგრირება ცოდნის განზოგადების მიზნით.
ინდიკატორი N.2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**სახელმწიფო ენა - რჩევა:** სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო და შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. **უცხო ენები - რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო სხვადასხვა დონეზე მოსწავლეების მხარდაჭერისთვის. საკმარისია რამდენიმე

		ნიმუში, რომელიც ეფექტურად წარმოჩენს განსხვავებულ სტრატეგიებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ აისახოს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები
ინდიკატორი N.2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:** მიზანშეწონილია ბუნებისმეტყველების I–VI კლასების კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკებში შესრულების დონეები უფრო დეტალურად იყოს აღწერილი, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილი იყოს შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლის მიღწევების პროგრესის შეფასების შესაძლებლობა. **უცხო ენები - რჩევა:** სასურველია თითოეულ საფეხურზე, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის დონე. **ესთეტიკური აღზრდა - რჩევა:** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებელს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადა შეფასების რუბრიკები. **სახელმწიფო ენა - რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ

		კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **მათემატიკა - რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით მათემატიკის სტანდარტის სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის.
ინდიკატორი N.2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**უცხო ენები -რჩევა:** სასურველია, ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას.
ინდიკატორი N.2.2.1.2	**სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**	**მათემატიკა - რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი მასალებისა, ზოგიერთი შეფასების რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (საბაზო და საშუალო საფეხურის). სასურველია მათი გადახედვა და უფრო მეტად დაკონკრეტება მათემატიკის სტანდარტის მიზნებისა და კონკრეტული დავალების სპეციფიკის მიხედვით. ეს მინიმუმამდე დაიყვანს

		სუბიექტური/შემთხვევითი ფაქტების გავლენას და შეფასებას უფრო ვალიდურს გახდის.
ინდიკატორი N.2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **სახელმწიფო ენა - რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
ინდიკატორი N.2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა - რჩევა:** სასურველია კათედრის დონეზე დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. **უცხო ენები - რჩევა:** სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი

		შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:** მიზანშეწონილია კათედრის ფარგლებში პერიოდულად მოხდეს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ეფექტიანობის განხილვა და მათი განახლება სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.
ინდიკატორი N.2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - რჩევა:** მიზანშეწონილია ეტაპობრივად გაფართოვდეს სკოლის ბაზაზე არსებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრაქტიკული და ლაბორატორიული რესურსები, განსაკუთრებით ფიზიკისა და ქიმიის ექსპერიმენტული აქტივობების მხარდასაჭერად, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მოსწავლეთა კვლევით და პრაქტიკულ უნარებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები - რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის შედეგად ექსპერტებმა გავითვალისწინეთ დაწესებულების პოზიციები და არგუმენტები და განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები:

1. *N.1.2.1.4* ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა შესაბამისობით (სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი რესურსების განსაზღვრა);
2. *N3.4.1.1* ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან/პირთან);
3. *N3.4.1.1* ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით *(უფლებამოსილი ორგანოსგან რეაბილიტირებული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების განახლებული დასკვნის მოპოვება);*

4. 3.4.1.1 ინდიკატორის ხარვეზი „სკოლის სივრცეები სრულად არ არის უზრუნველყოფილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით", სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად ამოღებულ იქნა ხარვეზიდან;

5. N3.4.1.2 ინდიკატორის ხარვეზი ამოღებულ იქნა, რადგან სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ექთნის არჩევის და დანიშვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

6. 3.5.1.4 ინდიკატორის ხარვეზი, შეიცვალა შესაბამისობით, რადგან სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის ორივე შენობის პანდუსებით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

7. *N2.2.2.3 ინდიკატორის* ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა *(ზოგადი განათლების საგაზო საფეხური)* ;

8. *N2.2.2.3 ინდიკატორის* ხარვეზი, შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით (სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხური*);

9. *N3.4.1.1 ინდიკატორის რჩევა ზიარჭურჭელის შემოღობვასთან დაკავშირებით, ამოღებულ იქნა, რადგან არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სკოლის ტერიტორიაზე* განთავსებული სასმელი წყლის ზიარჭურჭლის შენობის მონიშვნის დამადასტურებელი ფოტომაალა;

10. *N3.4.1.2 ინდიკატორის რჩევა* სამედიცინო კაბინეტის სრულად დააკომპლექტება წესის შესაბამისად განსაზღვრული აღჭურვილობით/სახარჯი მასალით, ამოღებულ იქნა, რადგან სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ფარმაცევტული პროდუქციის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
11. *N3.5.1.1 ინდიკატორის რჩევა საერთო სარგებლობის სპორტული მოედნით სარგებლობის საკითხზე მემორანდომის გაფორმებასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნა, რადგან სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა. სკოლის მისიაა აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და ტრადიციების დამცველი, კრიტიკულად მოაზროვნე, 21-ე საუკუნისთვის საჭირო კომპეტენციებით აღჭურვილი მოქალაქეები. სკოლის ხედვაა იყოს კონკურენტუნარიანი და ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული სკოლა, რომელიც მოზარდს მოამზადებს მუდმივად განვითარებად სამყაროში ორიენტაციისთვის და იქნება ფოკუსირებული უწყვეტ განვითარებაზე. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდებით. თითოეულს საშუალება მიეცემა განვითარდნენ ინდივიდუალურად, როგორც მიუკერძოებელი ტოლერანტი მოქალაქეები. სკოლის მისია და ხედვა ასახულია სკოლის

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში, სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია და ხედვის ანალიზით დგინდება, რომ ის შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

დაწესებულება მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე მორგებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც დეკლარირებულია სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, საგნობრივი კურიკულუმების ჭრილსა და არაფორმალური განათლების აქტივობებში.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები, რაც აისახება სხვადასხვა წესსა და დებულებაში, სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. სკოლაში ხორციელდება გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები, საქველმოქმედო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, შიდა სასკოლო გამოფენები, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები, სპორტული გასართობი და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად მოპოვებული არაერთი ჯოლდო/სიგელი. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთოებაზე პასუხიმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის ნომერ 7 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - აიდგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. შემადგენლობაში გათვალისწინებულია სკოლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი, მოსწავლე, მშობელი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აქტიურად იყვნენ ჩართული მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკომენტაციის თანახმად წარმოდგენილია მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი მასალა. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას დამტკიცებულია აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების დაცვით სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარების ეტაპი გაგრძელდა შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებით, როგორიცაა სკოლის ფარგლებში პირისპირ შეხვედრებით გაზიარება, მშობლებისთვის ფილოსოფის დოკუმენტის პროექტის გაცნობის/გაზიარების ამსახველი მასალით, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მათ გაუზიარდათ დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ უკვე შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, რადგან იგი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე/სტენდზე და სკოლის ვებ-გვერდზე (სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები). დოკუმენტაციის შესწავლითა და ვებ - გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება - სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლა. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფილოსოფია;
2. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის ნომერ 7 ბრძანება;
3. სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 25 მარტის ნომერ 1 სხდომის ოქმი;
4. მშობლებისთვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის ოქმი (2025 წლის 26 მარტი);
5. 2025 წლის 27 მარტის მშობელთა კრების სხდომის ოქმი;

6. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
7. 2025 – 2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
8. მე-7 კლასის დამრიგებლის ანგარიში (2025 წლის 10 მაისი);
9. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (2025 წლის 25 მაისი);
10. სკოლის პორტალი skolebi.emis.ge;
11. ავტორიზაციის ვიზიტის დროს გადაღებული ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის სტრატეგიული დაგემვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შესაბამისად განისაზღვრება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა, გეგმის

ჩამოყალიბება, სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა, სტრატეგიული დადგეგმვის ინიცირება, გეგმების მომზადება და განხილვა, სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შინაარსის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დადგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის თანახმად სკოლამ შეიმუშავა შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმარების გეგმა. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმა, შვიდწლიანი სტრატეგიული დაგეგმვის გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითერების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური, იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლის სტრატეგიული დადგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტის თანახმად, სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. დოკუმენტების თანახმად წარმოდგენილია 2025 – 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 2025 – 2032 წლების სტარტეგიული განვითარების გეგმიდან. სკოლამ ასევე წარმოადგინა გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომლის თანახმად აღწერილია ერთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესი. დოკუემნეტაციის ანალიზის შესაბამისად დგინდება, რომ ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას შემუშავებული აქვს 2025 – 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმაში ასახულია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და ვადები. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანებიდან არ გამომდინარეობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ამოცანები, მაგ: სტარეტეგიული განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პირველი მიზნის „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ ამოცანებია:

1. მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ხელშეწყობა;
2. კლასის მართვის სტრატეგიებისა და მიდგომების ეფექტიანობის გაზრდა-განვითარება;
3. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტური დანერგვა;
4. სასკოლო კურიკულუმის განახლება;
5. გამოკითხვა კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით.
6. კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
7. მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათავალისწინებით ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა;
8. სასკოლო კურიკულუმის შედგენის, განახლების და მისი განხორციელების მონიტორინგი;
10. სკოლაში სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის გაძლიერება;
12. კათედრების მუშაობის გაძლიერება: ინოვაციური მეთოდების, აქტივობების დანერგვა, კვლევა, მონაცემთა ანალიზი და შედეგების გამოყენება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა წარმატებისათვის;
13. მასწავლებელთა კონსულტირება პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
14. მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, საგნების ინტეგრირება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების

თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა;

15. ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებში, კონფერენციებში, ფორუმებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

- რაც შეეხება ამავე მიზნის „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ამოცანები შემდეგია:

ა) ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა;

ბ) სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;

გ) სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება;

დ) აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები არ შეესაბამება ერთმანეთს. სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი გეგმის შესწავლის თანახმად, ერთამანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი გეგმებით განსაზღვრული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში მითითებული რესურსებში (ძირითად ნაწილში) არ არის დაკონკრეტებული რა სახის რესურსის ითვალისწინებს სკოლა, გეგმაში მითითებულია ზოგადად „არსებული რესურსი“, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს რა სახის რესურსებია გათვალისწინებული ადანიანური, ფინანსური და ა.შ.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განახლებული ვერსიები, რომელშიც ცვლილებები განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 20 მარტის ოქმით. დოკუმენტების ანალიზის თანახმად სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანები მოვიდა ერთმანეთთან შესაბამისობაში, შესაბამისად სკოლას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები შესაბამისი აქტივობებით. ასევე, სამოქმედო გეგმაში დაზუსტდა შესაბამისი რესურსები (ადამიანური, ფინანსური და ა.შ). აღნიშნულის გათვალისწინებით ხერვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (07.05.2025 წელი);
- სკოლის განვიტარების შვიდწლიანი გეგმა (2025 – 2032 წელი);
- სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დირექტორი ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დადგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია გეგმების მონიტორინგისა დ შეფასების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მონიტორინგისთვის სკოლაში აქტიურად გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ შემუშავებული ანგარიშები. წლის ბოლოს დაწესებულების მუშაობის ანალიზი და შეფასება დაეყრდნო კათედრის ხელმძღვანელების და დირექტორის ანგარიშებს, ასევე დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებულ უკუკავშირს. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის თანახმად განხილულია 2025 წლის ფინანსური ანგარიში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ - ვებ - გვერდზე. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს სოციალური ქსელის, ვებ-გვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. აღნიშნულ ინტერნეტ პლატფორმებზე წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობის ამსახველი ინფორმაცია და ფოტო-მასალა. ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ეცნობიან სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში; დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებისგან იღებენ ინფორმაციას დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში შეგროვებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება, სიტუაციური ანალიზი, ისახება გადაჭრის გზები და შესაბამისი აქტივობები. მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს, გათვალისწინებულია წინა წლის პრაქტიკა და შენიშვნები. სტრატეგიული დადგემვის, მონიტორინგისა და შეფასების

მეთოდოლოგიის შესაბამისად, წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილების საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ნომერ 51 ბრძანება „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ნომერ 51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 მარტის ნომერ 9 ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის სხდომის ოქმი - 6;
- სკოლის სოციალური ქსელი, სკოლის ვებ - გვერდი, საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული ორგანოგრამა, საშტატო განრიგი. საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები/სტურუქტურული ერთეულები: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი, ექთანი, დამლაგებელი, დარაჯი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერი დოკუმენტი. დოკუმენტის შესაბამისად, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების ფუნქციები. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების შინაარსის ანალიზის თანახმად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერი დოკუმენტი. დოკუმენტის შესაბამისად, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების ფუნქციები. სკოლის მმართველობითი ერთეულები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ სკოლის მართვას. დოკუმენტის თანახმად მმართველობითი ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. მმართველობითი ერთეულები პასუხისმგებლები არიან ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვნად შესრულებაზე; დოკუმენტაციის შინაარსის შესაბამისად, სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;

- სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 მარტის ბრძანება 12 „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის სტრუქტურული სქემის დამტკიცების შესახებ“;
- „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერი დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 მარტის ბრძანება ნომერი 11.
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, სკოლას ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულების ფუნქციები, აღნიშნული ფუნქციების თანახმად, თითოეული თანამდებობის პირი/სტრუქტურული ერთეული ჩართულია სასკოლო საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტიან და დროულ შესრულებას.

   სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომლის უფლება - მოვალეობებს, სკოლაში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლაში ახლად მიღებული პირის ადაპტაციის ეტაპებს და გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, სკოლას ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება და სრულყოფა. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად განსაზღვრულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა საკითხები, სკოლაში თანამშრომლის/პედაგოგის შერჩევის და მიღების პროცედურა, მიღების საკითხებში აღწერილია განცხადების გავრცელება ვაკანტური ადგილების შესახებ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და მასთან გასაუბრების პროცედურა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. ამავე, დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის სამსახურში მიღებისას ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესი“, სადაც განსაზღვრულია მასწავლებლის მიღებისას გასათვალისწინებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კადრის შერჩევის პროცედურები, კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა/ფორმირება, საინფორმაციო საშუალებებით საჯაროდ გამოქვეყნება, კონკურსის ეტაპები, პერსონალის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურა, გადაწყვეტილების მიღება, ოქმი/შერჩევის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოება, გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ. სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტებით გათვალისწინებულია პერსონალის მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“, „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“, შესაბამისად სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის პერსონალის რეესტრის შესაბამისად, დასაქმებულ ყველა პედაგოგს უფიქსირდება შესაბამისი სტატუსი. სკოლას ჰყავს ორი წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები. სკოლას ჰყავს ერთი მოწვეული მასწავლებელი არჩევით საგანში. დოკუმენტაციის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს სახვით ხელოვნებაში ჩაბარებული აქვს გამოცდა, ის ასევე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა მუსიკის მიმართულებით. აღნიშნულ პრობლემას სკოლა ხსნის შემდეგი გარემოებით: მოცემულ მასწავლებელს აქვს მუსიკალური განათლების შესაბამისი დიპლომი და დაწერილი აქვს განცხადება, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გავა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე და მუსიკის საგნობრივი გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში თავად დატოვებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლაში ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა ასევე დასაქმებული პერსონალის პირადი საქმე, გამოცხადებული შესარჩევი კონკურსები, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. დოკუმენტაციის შესწავლით სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შინაგანაწესის თანახმად, დასაქმებული შესაძლებელია წახალისდეს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შესაბამისად, ასევე განსაზღვრულია პერსონალის წახალისების მოტივაციის განმსაზღვრელი მექანიზნები. სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა,

რომ სკოლა პრაქტიკაში იყენებს წახალისების ღონისძიებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები, რომლითც ასევე დასტურდება წახალისების მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება. დოკუმენტაციის ანალიზის შესაბამისად, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილებისა და გაზიარების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალის პირადი საქმე;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის წახალისების დამადასტურებელი სეგელი/სერთიფიკატი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ნომერ 72 ბრძანებით შექმნილია „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის 2025 – 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პერსონალის აქტივობები, რომელიც ასევე ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მუდმივ განვითარებას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დოკუმენტის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღაკლვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, პერსონალის საჭიროებების და სურვილის გათვალისწინებით სკოლა მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, შეხვედრების მეშვეობით პერსონალი ერთმანეთს უზიარებს თავის გამოცდილებას, ასევე სკოლის პერსონალი აქტიურად იყენებს ურთიერთდასწრების მექანიზმს. სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ნომერ 72 ბრძანებით შექმნილია „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ამავე ბრძანების შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ჯგუფის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის თანახმად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განსაზღვრულია ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები, პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, სკოლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღაკლვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის ამსახველი რეესტრით (ემისის ბაზის ამონაწერი), ასევე პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ პერსონალი მუდმივად

ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ნომერ 72 ბრძანებით შექმნილია „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ამავე ბრძანების შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ჯგუფის ფუნქციები. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად ხელს უწობს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, აქტივობებსა და კონფერენციებში, რაც უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში პერსონალის კარიერულ ზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის აქტივობები. დოკუმენტით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის თანამშრომლისთვის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლისთვის უფლება - მოვალეობების გაცნობა, ინფორმირება სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, ახალი თანამშომლის სხვა სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მასწავლებლის ადაპტაციასთან მიმართებაში შესაბამისი პირების მიერ გასატარებელი აქტივობები, მათ შორის კათედრის თავმჯდომარის როლი და ვალდებულებები. პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თანამშრომლებში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი და თითოეული ხელს უწყობს პერსონალის ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან, სკოლაში ასევე დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის შინაგანაწესი; შინაგანაწესის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია წახალისების ფორმები, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 დეკემბრის ნომერ 72 ბრძანებია „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ შექმნის შესახებ;
- დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის ამსახველი რეესტრი (ემისის ბაზის ამონაწერი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ნომერ 56 ბრძანება, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, სკოლის პროცესები, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სკოლის პროცესთან/კურიკულუმთამ რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, არაგეგმიური შემოწმება, შეფასების განხორციელება, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლას

ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფა, შიდა და გარე შეფასება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა, ადამიანური რესურსების შეფასება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის შემოწმება და ა.შ. დოკუმენტების შინაარსის გათვალისწინებით დგინდება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ნომერ 67 ბრძანება, სკოლის ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერების შესახებ, დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

სკოლის ძირითადი პროცესებია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება;
2. უსაფრთხო, გამართული სასწავლო პროცესი;
3. საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება;
4. ფინანსური მართვა.

დოკუმენტის თნახმად დამხმარე პროცესებია:

1. უსაფრთხოების წესების დაცვა და მონიტორინგი;
2. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და მონიტორინგი;
3. სასწავლო რესურსები;

ა) არსებულის მიზნობრივად გამოყენება;

ბ) გეგმაზომიერად შევსება და განახლება.

4. დამატებითი დაფინანსების წყაროს მოპოვება-განკარგვა/მონიტორინგი/ანგარიში
5. სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება;
6. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დოკუმენტით ასევე აღწერილია მმართველობითი ერთეულები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებითა და დოკუნტების შინაარსის გათვალისწინებით დგინდება, რომ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის / განცხადების განხილვის მექანიზმი. დოკუმენტების შენაარსის თანახმად აღწერილია საჩივრის მექანიზმები, საჩივრის განმხილველი პირი/ორგანო, აცილების განცხადება, გასაჩივრების სუბიექტი, გასაჩივრების ვადები, წარმომადგენლობის უფლება, საჩივრის სახეები, საჩივრის ფორმა, გარემოებათა გამოკვლევა, გადაწყვეტილების მიღება და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, საჩივრის / განცხადების განხილვის მექანიზმი. უფლებეის დაცვის მექანიზმების დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები, პერსონალის კანონიერი უფლებები. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით:

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი;
2. სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;
3. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
4. სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
5. სკოლის ექიმი/ექთანი;
6. თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
7. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია უფლებების დაცვის მიზნით, სკოლის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ნომერ 56 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ნომერ 67 ბრძანება, სკოლის ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულების, პროცესების და მათი აღმწერების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 4 ნოემბრის ნომერ 55 ბრძანება „საჩივრის/განცხადების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ და თანდართული დანართი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმების ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის დებულება, მრჩეველთ სააბჭოს შექმნის შექმნის შესახებ ბრძანება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება. გასაუბრებისას მოსწავლეებმა, მშობლებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უკუკავშირს იღებენ, როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე წერილობითი ფორმით. სკოლა პერიოდულად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების დადგენას/კვლევას. ასევე აღინიშნეს, რომ სკოლისთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში სკოლა წერილობითი ფორმით სცემს პასუხს. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას

აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის დებულება, მრჩეველთ სააბჭოს შექმნის შექმნის შესახებ ბრძანება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგთა, ექიმის/ექთნის შერჩევა ხორციელდება კომისიური წესით. დოკუმენტების შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უფლება - მოვალეობები, ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში, რეაგირებს შესაბამის საკითხებზე, იღებს გადაწყვეტილებებს. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც შედგება საბაზო, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისგან და აირჩევიან მოსწავლეთა თვითმმართველობისგან. თვითთმმართველობის დებულების შინაარსის თანახმად, მოსწავლეთა თვითთმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და სკოლის საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად მონაწილეობენ პედ. საბჭოს სხდომებში, სადაც განიხილება მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები. დოკუმენტების შინაარსის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შესაბამისად დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 დეკემბრის ნომერ 63 ბრძანება „თვითთმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ და თანდართული დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის ნომერ 45 ბრძანება „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლა შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს დარაჯი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხიმგებელი პირი. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. მოსწავლის გაკვეთილიდან გათავისუფლებამდე ხდება მოსწავლის მშობლის ინფორმირება. დიდი ყურადღება ეთმობა დამრიგებლის მიერ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენას. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში წესრიგს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება / ინსტრუქცია“. მიმართვის გათვალისწინებით, სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 27 იანვარს გაცემული მიწერილობები (ორივე შენობაზე ცალ - ცალკე, ნომრები: 26,27) სახანძრო

უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე“, რომლის თანახმად განსაზღვრულია თითოეული ღონისძიებების შესასრულებლად ვადა. სკოლის შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლა ნაწილობრივ იყო აღჭურვილი ცეცხლმაქრებით, სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 25 თებერვლით დათარიღებული ხელშეკრულება „ცეცხლმაქრების შესყიდვის შესახებ“;

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის ექთნის აყვანის და შენობის რეაბილიტირების საფუძველზე მიღება - ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების შემდგომ, სკოლას მიეცემა შესაძლებლობა მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის“ შეთანხმების საკითხზე.

სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა, რომელიც აკონტროლებს ორივე შენობის როგორც შიდა ისე გარე პერიმეტრს (ასასრულად). თუმცა, სკოლის გარე პერიმეტრზე, მთავარ შესასვლელთან, შენობის გვერდითა პერიმეტრზე ფიქსირდება კამერები მხოლოდ ერთი მიმართულებით, სკოლის ეზო არის საკმაოდ ვრცელი და კამერების არსებული რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს სრულ კონტროლს. სკოლის ორივე შენობის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო-თვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის ყველა დერეფნის ვიდეო-კონტროლს, თუმცა ორივე შენობის ფოიეში და კიბის უჯრედებში არის სივრცეები, რომელიც, არ ხვდება არც ერთი კამერის არეალში.

სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა (დათარიღებული 16.11.2023): რომლის შინაარსის თანახმად: სკოლის შენობის პირველი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მეორე კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ორივე კორპუსი შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. არსებული მდგომარეობით პირველი კორპუსის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი, რაც შეეხება მეორე კორპუსს 2023 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით იყო დაუშვებელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელდა შენობის გამაგრებითი სამუშაოები და ამ ეტაპისთის რეაბილიტირებულია და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე. სკოლამ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს მე-2 კორპუსის მდგრადობის დასკვნის მოსაპოვებლად, რაზეც სკოლამ მზაობა გამოხატა. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ რეაბილიტირებულ შენობაში ჩატარებული სამუშაოების მიღება - ჩაბარების დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, შეძლებდა მდგრადობის დასკვნის მოპოვების მიზნით, შესაბამისი ორგანოსთვის მიმართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ცალკე მდგომი ნაგებობა, რომელიც საჭიროებს რეაბილიტირებას, ვიზიტის პერიოდში სკოლას აღნიშნული ტერიტორია ჰქონდა შემოსაზღვრული ყვითელი ლენტით. სკოლამ 2026 წლის 10 თებერვლის MES 2 26 0000141166 წერილით მიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიას, საპასუხო წერილით მერიამ გამოთქვა მზადყოფმა აღნიშნული ნაგებობის დემონტაჟთან დაკავშირებით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სასმელი წყლის ზიარჭურჭლის შენობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება უბნისთვის წყლის განაწილება, ტერიტორიაზე აშენებულია დაახლოებით 4 კვ.მ დამცავი ნაგებობა. სასურველია მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის შემოღობვა/მონიშვნა შესაბამისი აღნიშვნით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობების ექსპლუატაციის დასკვნის თანახმად, ერთ - ერთი შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი იყო. სკოლამ არგუმენტირებული პოციზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა განახლებული სახით, კერძოდ დააკორეტირა შესრულების ვადა, რაც ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა და სკოლას მიეცა ***რეკომენდაცია:*** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 30.8.2026 - მდე, უფლებამოსილი ორგანოსგან მოიპოვოს რეაბილიტირებული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხობის განახლებული დასკვნა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე, ასევე გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სკოლას შემუშავებული და გაგზავნილი აქვს შესაბამის ორგანოსთან შესათანხმებლად საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ელოდება შეთანხმებას. ***რეკომენდაცია***: სკოლამ შესაბამისობის შეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.8.2026 - მდე, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

სკოლამ არუმენტირებული პოზიციასთან ერთად გამოაგზავნა ვიდეო კამერების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება (02.04.2026), ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მიღება - ჩაბარების აქტი (3.4.2026), წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლამ დამატებით შეისყიდა 6 გარე გამოყენების და 2 შიდა გამოყენების კამერა და სხვა რესურსი ვიდეოკამერების სისტემის მოწყობისთვის. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სკოლის სივრცეები სრულად არის უზრუნველყოფილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, შესაბამისად ხარვეზი ამოღებულ იქნა.

რჩევა: *სასურველია სკოლის შენობაში ნაწილობრივ დამონტაჟებული ცეცხლმაქრები დაიმუხტოს, ასევე სასურველია სკოლის ორივე შენობაში დამონტაჟდეს შესაბამისი რაოდენობის ცეცხლმაქრები.*

რჩევა: სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სასმელი წყლის ზიარჭურჭლის შენობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება უბნისთვის წყლის განაწილება, ტერიტორიაზე აშენებულია დაახლოებით 4 კვ.მ დამცავი ნაგებობა. სასურველია მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის შემოღობვა/მონიშვნა შესაბამისი აღნიშვნით. ***არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ნაგებობის შესაბამისი აღნიშვნით მონიშვნის დამადასტურებელი ფოტომასალა, შესაბამისად ამოღებულ იქნა რჩევიდან.***

სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მტკიცებულებებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას საშტატო განრიგით 2026 წლის თებერვალში განესაზღვრა ექთნის საშტატო ერთეული, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ უზრუნველყოფდა სამედიცინო პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას არ ყავდა შერჩეული სამედიცინო პერსონალი, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

დაწესებულებას მიეცა რჩევა, სამედიცინო კაბინეტი სრულად დააკომპლექტოს წესის შესაბამისად განსაზღვრული აღჭურვილობით/სახარჯი მასალით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ფარმაცევტული პროდუქციის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამოღებულ იქნა რჩევიდან.

სკოლას ვიზიტის ეტაპისთვის არ ყავდა არჩეული/დანიშნული სამედიცინო პერსონალი/ექთანი, შესაბამისად სკოლა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად

წარმოადგინა სკოლის ექთნის შერჩევის/დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღნმოჩენას. აღნიშნულის გათვალისწინებით ხარვეზი ამოღებულ იქნა და ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით'' გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცის მიზნით“ შესაბამისი პირი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“, რომლითაც განსაზღრულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, სკოლაში ფიზიკური უსაფრთხების დაცვის მექანიზმები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები და ა.შ. სკოლას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია“ რომლითაც რეგულირდება ადმინისტრაციის, მორიგე მასწავლებლების, დამრიგებლების, დამლაგებლის, დარაჯისთვის ა.შ. განსაზღვრული ფუნქციები, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნებისთვის. ასევე, განაწილებულნი არიან მორიგე მასწავლებლები სართულების მიხედვით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა გადაადგილებას და უზრუნველყოფენ საფრთხეების თავიდან აცილებას.

რჩევა: *რადგან სკოლას საშტატო განრიგით განსაზღვრული აქვს ექთნის პოზიცია, სასურველია „სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქციაში“ დაკორექტირდეს „ექიმი“ სახელწოდება და ნაცვლად ექიმისა განისაზღვროს ექთანი.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შინაგანაწესისა და სხვა დებულებების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. გარდა ამისა, დაწესებულებაში შეინიშნება მშობლების ჯანსაღი

ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მათი მჭიდრო კონტაქტი დამრიგებლებთან, რაც პრობლემების მოგვარების და ჯანსაღი კლიმატის შექმნისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლას ჰყავს დამლაგებლები, მათ ხელშეკრულებაში გაწერილია ფუნქცია - მოვალეობები. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია დამლაგებელის, ექთნის, დარაჯის და სხვა საშტატო ერთეული. დაწესებულება უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით და სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებით. საპირფარეშოებსა და ადაპტირებულ ტუალეტებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპნები, ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერები და ურნები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია განათების უწყვეტი მიწოდებით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა მიღების წყაროები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები, მონაცემთა გამჟღავნება და ა. შ. სკოლას ბრძანებით ასევე განსაზღვრულია „პერსონალური მონაცემებზე პასუხისმგებელული პირი“. სკოლის სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად და ელექტრონული ჟურნალით. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას. შემუშავებულია და თითოეულ მშობელთან შეთანხმებულია სხვადასხვა სახის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ ნებართვის ფორმა. მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს სს სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებას და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლის ხელთ არსებული მონაცემები დაცულია შემთხვევითი, ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოქვეყნებისგან. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის ფორმა, რის მიხედვითაც განსაზღვრულია მიზანი, დამუშავების საფუძველი, მონაცემთა სუბიექტი, მონაცემთა კატეგორია, მონაცემთა მიმღები, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“ სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გაუმჯობესებისთვის გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა;
- სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა;
- სკოლის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის ბრძანება - 29;
- სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის ფორმა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი;

- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის დამტკიცების ბრძანება თანდართული დოკუმენტით;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება / ინსტრუქცია;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლასა და სილქნეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება / შეთანხმება;
- მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული თანხმობის ფორმები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 28 იანვრის წერილი MIA 1 26 00286462;
- სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილ N 26 და N 27 მიწერილობები;
- დაბა ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2016 წლის 15 ივნისის წერილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 15 ივნისის წერილი MES 0 16 0000678566.
- ცეცხლმაქრების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (25.2.26);
- ადიგენის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 24 თებერვლის წერილი 112-112260558.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

   სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ორ მისამართად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (მისამართი, ადიგენის მუნიციპალიტეტი ქვემო ენთელი, მე-2 ქუჩა ნომერი 1 3144.00 კვ.მ.; მისამართი, ადიგენის მუნიციპალიტეტი ქვემო ენთელი, 1-ლი ქუჩა ნომერი 32, 1474.00Ì.კვ.მ) და 2 შენობა-ნაგებობა: სკოლის შენობა (N1) და შენობა (N2) მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

   სკოლის შენობა (**ქვემო ენთელი, მე-2 ქუჩა, N 1)** განთავსებულია განაშენიანების ფართზე - 220 კვ.მ კვ.მ; ხოლო მე-2 შენობა (სოფელი ენთელი, 1 - ლი ქუჩა 32) განთავსებულია განაშენიანების ფართზე - 239 კვ.მ. სკოლის ორივე შენობა ორსართულიანია. შენობაში (**ქვემო ენთელი, მე-2 ქუჩა, N 1)** განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი; საკლასო ოთახები (მე-6 - მე-12 კლასი), სკოლის ფოიეში განთავსებულია ტენისის მაგიდა, რასაც მოსწავლეები ასევე იყენებენ სპორტის საგაკვეთილო პროცესის დროს. მეორე შენობაში (სოფელი ენთელი, 1 - ლი ქუჩა 32) განთავსებულია ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები (პირველი - მე-5 კლასი), სამედიცინო კაბინეტი, ღონისძიებების დარბაზი, რესურს ოთახის კუთხე. სკოლის ორივე შენობაში განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განკუთვნილი სველი წერტილი.

   სკოლას აქვს ვრცელი ეზო როგორც შენობის წინა, ისე უკანა მხარეს. სკოლის უკანა ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი. მოსწავლეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესის დროს, სოფლისთვის განკუთვნილი სპორტული მოედანი, რომელიც კეთილმოწყობილია, მათ შორის მოპირკეთებულია მწვანე საფარით (სპორტული მოედანი მდებარეობს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, კვეთს წინა ქუჩა). ეზოში ასევე განთავსებულია საპირფარეშოები და საქვაბე. სკოლის პირველი შენობის შესასვლელს აქვს პანდუსი, ხოლო მე-2 შენობის შესასვლელის პანდუსი უნდა მოეწყოს, რაზეც სკოლამ განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფს.

   სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით, კომპიუტერებით, პრინტერით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით. სკოლას აქვს პიანინო, მუსიკალური ღონისძიებები ასევე ტარდება სკოლის ფოიეში, სადაც განთავსებულია პიანინო. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ

სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე. სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი, ასევე სასკოლო რესურსები, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. შესაბამისად, სკოლას აქვს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის ორივე შენობა არის ახალი რეაბილიტირებული. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის დასრულების საკითხზე მიმდინარეობდა სამუშაოების მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების პროცესი, რაც უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს. ზემოთ აღნიშნულის გატალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სასურველია, საერთო სარგებლობის სპორტული მოედნის (სოფლის მოედანი), სპორტის საგაკვეთილო პროცესში გამოყენების მიზნებისთვის გაფორმდეს ხელშეკრულება/მემორანდუმი შესაბამის უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან. ***სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა, აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამოღებულ იქნა რჩევა.***

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს. სკოლის შენობის ფოიეში განთავსებულია პიანინო, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი, კულტურული ღონისძიებების დროს გამოიყენონ შესაბამისი ინვენტარი. ვიზიტის დროს,

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი", რაც ასევე გამოკრულია სკოლის ბიბლიოთეკაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული წესით განისაზღვრება წესის ამოცანა, ბიბლიოთკის ფუნქციების, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. სკოლას გააჩნია საბიბლიოთეკო რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

ყველა მოსწავლე სრულადაა უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. სასკოლო საზოგადოებამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთკო სერვისის მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის პირველი შენობის პირველი სართული და შესასვლელი ადაპტირებულია. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილები. აღნიშნული შენობის პირველ სართულზე განთავსებულ ოთახებში შესასვლელთან ერთი საფეხურის სიმაღლის შესასვლელია მოწყობილი. რაც შეეხება მეორე შენობის შესასვლელთან ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი პანდუსი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სკოლის ერთი შენობის მეორე სართულზე მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო მეორე შენობის მეორე სართულზე მოწყობილია ბიბლიოთეკა და რესურს ოთახის კუთხე. ორივე შონობის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე არ ფიქსირდება პანდუსი შესაბამისად, ვიზიტის პერიოდისთვის სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს. სასკოლო საზოგადოებამ გამოთქვა მზარყოფნა, რომ უზრუნველყოფდნენ სკოლის ორივე შენობაში პანდუსების მონტაჟს.

სკოლის ძირითადი შენობის მეორე სართული არ არის ხელმისაწვდომი შშმ პირთათვის, ხოლო მეორე შენობა არ არის ადაპტირებული, შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ***სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის მეორე შენობის შესასვლელში პანდუსის მოწყობის და სკოლის ორივე შენობაში შიდა კიბეებზე ადაპტირებული ასასვლელის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (გაფორმებული ხელშეკრულება, მიღება - ჩაბარების აქტი, ფოტომასალა) შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს. აღნიშნულის გატალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ამოღებულ იქნა ხარვეზიდან.***

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის შენობა, ეზო, გარე მოედანი, ღონისძიებების დარბაზი, ფოიე), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში მოქმედ წრეებში და ასევე მოქმედებს სხვადასხვა საგნობრივი კლუბები. დაწესებულებაში იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ შეთავაზებული არაერთი პროექტი და ღონისძიება. სკოლის შენობის ფოიეში განთავსებული იყო მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა სპორტულ შეჯებრებებში/ოლიმპიადებში მოპოვებული ჯილდოები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლის შენობების დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - ს/კ **61.08.25.331;**
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - ს/კ **61.08.25.330;**
- სხვადასხვა სახის სასკოლო ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტები;
- ბიბლიოთკის მუშაობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულფასოვან წარმართვას. დირექციაში, საქმისმწარმოებელთან, ბიბლიოთკაში განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერები და სხვა ტექნიკა. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული ლაბორატორია სრულად აღჭურვილი და ასევე მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილის მომზადების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას იყენებს ეფექტურად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში, სკოლის პირველი კორპუსის მეორე სართულზე. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ მოსწავლეებიც სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელშიც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტომასალა;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

   სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 6 დეკემბრის ნომერ 63 ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის“ დამტკიცების შესახებ, ასევე დანართის სახის მოწოდებულია „საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას. შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, ბრძანებების მომზადებას და გაფორმებას, ბრძანების გამოცემას. აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოების მტკიცებულებების მიხედვით, სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს ელექტრონული პლატფორმის eflow სისტემის მეშვეობით, ბრძანებების წარმოება და რეგისტრაცია მიმდინარეობდა მატერიალური სახით, რაც შემდგომ თავსდება ელექტრონულ eflow სისტემაში. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, მათი წარმოება მიმდინარეობს მატერიალური სახით, რაც შემდგომ აღირიცხება /რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, ასევე

განხორციელდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან, რომელმაც აღწერა საქმისწარმოების პროცესი, ასევე განხორციელდა ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების სისტემის/პროცესის რევიზია, რითაც დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (EFLOW). სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის ბრძანებები (მატერიალური ფორმით მომზადების და რეგისტრაციის შემდეგ იტვირთება ელექტრონულ სისტემაში), ცნობები რეგისტრირდება საქმისმწარმოებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში. უწყებებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. eSchool-ის სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია, დასაქმებული პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. დგინდება, რომ სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინფორმაცია თანამშრომლების, მოსწავლეების, კლასების, საგნების, საგაკვეთილო ცხრილის და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის მიერ შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება განსაზღვრული/მოთხოვნილი ვადების დაცვით. დოკუმენტბრუნვის სისტემაში არსებული წერილების/მიმოწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებსა და თანამშრომლობს მათთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული EFLOW სისტემა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool;
- „საქმისწარმოების ერთიანი წესი“.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1742?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90, სოციალურ ქსელში შექმნილია სკოლის გვერდი, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სოციალურ ქსელზე პასუხიმგებელი პირი. ვებ - გვერდის, სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს საკომუნიკაციო საშუალებების საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ვიზიტის პერიოდში

სკოლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული იყო ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგაკვეთილო ცხრილი, მარეგულლირებელი დოკუმენტები. სკოლის მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლისგან იღებენ ინფორმაციას სასკოლო პროცესის, სხვადასხვა სახის აქტივობების/ღონისძიებების, პროგრამების და ა.შ შესახებ. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის პერიოდში, მშობლებმა, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან ხშირად იმართება შეხვედრები, ასევე მოსწავლეებს ხვდება დამრიგებელი და იღებს უკუკავშირს მათი საჭიროებების და კმაყოფილების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ზეპირსიტყვიერად მიღებული ინფორმაცია, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებები, განიხილება სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები, ინფორმაცია აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები. აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის

სტრუქტურა, სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, სამოქმედო და განვითარების გრძელვადიანი გეგმა, გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ. სკოლას სრულად აქვს განთავსებული აღნიშნული ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის ბრძანება ნომერი 29 „სოციალურ ქსელზე პასუხისმგებელი პირო განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბრის ნომერ 80 ბრძნება სკოლის პორტალზე skolebi.emis.ge ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელის პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- ვებ-გვერდს skolebi.emis.ge.

შეფასება:
◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ. პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ვაუჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან და სხვა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად; გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც დგება გასული პერიოდის ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლოის ბიუჯეტი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის ნომერ 44 ბრძანება „2026 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ:
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (9.12. 2025 წელი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩერიცხვი, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტამდე მოსწავლის უფლებების რეალიზების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, დისციპლინური წარმოების წესები და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლითაც რეგულირდება მხარდამჭერი ჯგუფის ფუნქციები, ჯგუფის შეხვედრები, მხარადჭერის ხელშეწყობის მექანიზნები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი. ვიზიტის დროს, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს/ღონისძიებებს მათი უფლებების დაცვის მიზნით, ტარდება შეხვედრები, უფლებების დაცვის კუთხით ტარდება საჯარო ლექციები, მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ღონისძიებებში/აქტივობებში როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ

ღონისძიებებში. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები საჯაროა, სკოლას აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ განთავსებული აქვს სკოლის ვებ - გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათ სკოლა რეგულარულად აცნობს რეგულაციებს, ასევე სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს, შერჩევითი პრინციპით შესწავლილ იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიოა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი;

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- მოსწავლეებისათის სახელმძღვანელობიე გადაცემის შესახებ მათ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, გარდა პირველი კლასისა მოსწავლის ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურები, მოსწავლის კლასიდან - კლასში გადაყვანა და ა.შ. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესით რეგულირდება მოსწავლის ჩერიცხვიდან სტატუსის შეწყვეტამდე განსახორციელეებლი პროცედურები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებების, მობილობის, საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. შერჩევით პრინციპით გადამოწმდა მართვის საინფორმაციო სისტემა სადაც

ფიქსირდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელ შესაბამის პროცედურებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული კლუბების შესახებ ინფორმაცია. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სპორტულ აქტივობებში, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის შედეგად მოსწავლეების მიერ მოპოვებულია ჯილდოები, სერთიფიკატები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედგად დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები, კლუბები. სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, გაკვეთილების ცხრილი და სხვა ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული წრეები, კლუბების შესახებ ინფორმაცია. სკოლაში არსებული ქცევის წესები, საგაკვეთილო ცხრილი. სკოლის ვებ - გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ასევე მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან

მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი;
- ისტორიის მოყვარულთა კლუბის, ,,მკვლევარის", დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები (26.12.2024, ნომერი 2, ნომერი3);
- უცხოური ენების კლუბის - ლინგვისტების წესდება;
- განაცხადი წლის შექმნის შესახებ, წრის რეფლექსია (წრე ნორჩი მოაზროვნეების დოკუმენტაცია);
- მე-9 კლასის მოსწავლეთა კრების ოქმი;
- მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ (18. 06. 2025);
- საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 მაისი ნომერ 11 ბრძანება;
- სკოლის პირველ კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის ბრძანება ნომერ 18;
- სკოლის ვებ - გვერდი - skolebi.emis.ge;
- ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის #45 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსიპ -ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი", წესის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, საშუალო/საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, დეზადაპტაციის ნიშნები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი დოკუმენტით "სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესით", დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლე იღებს სათანადო მხარდაჭერას აკადემური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი; ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის დებულება. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ენთელის საჯარო სკოლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“, მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი არის სკოლის დირექტორის ბრძანების შექმნილი ჯგუფი, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის, არსებული სირთულეების იდენტიფიცირების მიზნით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებსა და აქტივობებს. ასევე ექსტერნების გამოცდების შემთხვევში გათვალისწინებულია საგნების შესაბამისი კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ მიზნად განსაზღვრულია მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის გაუმჯობესება, სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. ასევე, მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია დამატებითი სერვისების განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და

გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება. სკოლამ წარმოადგინა პროექტების მრავალფეროვანი მასალა, რასაც ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ნომერ 56 ბრძანებით დამტკიცებულია „მხარდამჭერი ჯგუფის დებულება“, რომელიც ითვალისწინებს მხარდამჭერი ჯგუფის ფუნქციებს, მხარდამჭერი ჯგუფის წევრების შემადგენლობას, ჯგუფის წევრების შეხვედრების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარადჭერის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ფუნქციებს, ინიციატივების წარდგენის წესს, ჯგუფის შეხვედრებს, ინიციატივების მხარდაჭერის ხელშეწყობას. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სასკოლო პროექტების განხორციელების დროს ხდება შუალედური და საბოლოო მონიტორინგი. აქტივობების განხორციელებისას კათედრები და მასწავლებლები ამზადებენ რეფლექსიებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხდება მომავალი პროექტების დაგეგმვა. ასევე გასაუბრებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს მოსწავლეთა ინტერესების კვლევას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე პრინციპებით. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უვრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი, რითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შიდა და გარე შეფასება, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა, ადამინური რესურსების შეფასება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შემოწმება, გაუმჯობესება, განვითარება და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება 56 „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ თანდართულ დანართთან ერთად;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლის პროექტები;
- „მოსწავლეთა ადაპტაციია წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ნომერ 54 ბრძანება, თანდართულ დოკუმენტთან ერთად;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- ტრანზიციის დებულება;
- „მხარდაჭერის ჯგუფის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ბრძანება, თანდსართულ დანართთან ერთად.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ აქტივობად განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. ასევე მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ხშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ პროფესიების და მათი მნიშვნელობის შესახებ. სკოლას მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები. დოკუმენტაციის შეწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება კარიერული დაგეგმვის საკითხზე გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლის თანახმად განსაზღვრულია სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, არაგეგმიური შემოწმება, შეფასების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება და ა.შ. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის თანახმად სკოლა ახდენს შიდა და გარე ხარისხის შეფასება, ადამიანურური რესურსების შეფასებას, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შემოწმება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას/განვითარებას და ა.შ. სკოლის მოსწავლეებმა გასაუბრებისა აღნიშნეს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს კმაყოფილების კვლევას ზეპირსიტყვიერად, სკოლამ აღნიშნა, რომ გეგმავს კმაყოფილების კვლევის ჩატარებას კითხვარების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025- 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სერთიფიკატები „მეწარმეობის საფუძვლები“;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტ ქვემო ენთელის საჯარო სკოლასა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრის პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი;
- სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტ ქვემო ენთელის საჯარო სკოლასა და სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტ სოფელ ქვემო ენთლის საჯარო სკოლას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“;

- „სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა “სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების რეგულაცია” სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის #70 ბრძანებით დამტკიცებული. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია და ა.შ. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. ვიზიტის პერიოდისთვის სსსმ მოსწავლე სკოლაში არ ირიცხებოდა. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს “სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების რეგულაცია” სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის #70 ბრძანებით დამტკიცებული. დოკუმენტის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია და ა.შ. დოკუმენტის შინაარსის თანახმად, განსარაზღვრულია ისგ ჯგუფის, მონიტორინგის ჯგუფის შექმნის პროცედურა. სსსმ მოსწავლე სკოლაში ვიზიტის ეტაპისტვის არ ირიცხებოდა. დოკუმენტაციის შინაარსის თანახმად, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- "სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების რეგულაცია" სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის #70 ბრძანებით დამტკიცებული;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის საგანმანათლებლო მომსახურებად მოსწავლეებს სთავაზობს ფაკულტატური საგნის მსოფლიო რელიგიების სწავლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ინიციატივით სარგებლობის დროს იყენებს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ზომებს და საგნის სწავლება ხდება მოსწავლის და მშობლის ნებაყოფლობითობის გათვალისწინებით, ასევე პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს თანხმობით, საგნის სწავლება გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლაში ვიზიტითა

და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დამატებითი/არასავალდებულო მომსახურების გაწევა ხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის გონებრივ, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ სკოლაში ფაკულტატური საგნის მსოფლიო რელიგიების სწავლება ხორციელდება კანონით დადგენილი ნორმების, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლის ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სკოლის უსაფრთხოების ნორმების დაცვა; დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია „საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი“. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება / ინსტრუქცია“. დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 – 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის ნომერ 61 ბრძანება „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის“ დამტკიცების შესახებ, თანდართულ დანართთან ერთად;
- „უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება / ინსტრუქცია“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება „საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ“;
- ფაკულტატური საგანი - მსოფლიო რელიგიები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სკოლამ დოკუმენტურად წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, დიფერენცირებული მიდგომები და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის დროს აღწერილი პროცედურები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს შემოქმედებითი ბუნების დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და

დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლის კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების, აგრეთვე მათი ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები კათედრაზე თანამშრომლობენ, იზიარებენ გამოცდილებას და ინტერესებს. სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულები არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თითოეულ კათედრაზე, მასწავლებლები საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო ელექტრონულ სივრცეში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების განაცხადი;
- კათედრის სხდომის ოქმები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში განსაზღვრულია თემები, საკითხები, სასწავლო აქტივობები და კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა კვლევითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე. კურიკულუმების მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ექსპერიმენტულ და კვლევით საქმიანობას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, პროექტები, მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე, გამოცდილებაზე და სწავლის პროცესში აქტიურ მონაწილეობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას.

	საგნობრივი კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. კურიკულუმი უზრუნველყოფს ენაზე დაფუძნებული სწავლების დინამიკურ და გრძელვადიან პროცესს, რომელიც მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებსუცხოური ენების სამივე საფეხურისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები ადაპტირებულია მოსწავლეზე, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას.სასწავლო თემები შერჩეულია ისე, რომ შეესაბამებოდეს სკოლაში არსებული რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, რითაც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართულობა და ენობრივი უნარების თანმიმდევრული განვითარება. კურიკულუმი ეფუძნება თანამედროვე, კომუნიკაციურ მიდგომას და ორიენტირებულია მოსწავლის როგორც ენის ფლობის, ისე კულტურული ცნობიერების ამაღლებაზე. ***რჩევა: სასურველია, რომ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები.*** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ენთელის საჯარო სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა) იკვეთება, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმის შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმნეტს/ინსტრუმენტს. მუსიკის/ხელოვნების საგნების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, სწორად არის განსაზღვრული შემოქმედებითი კომპლექსური დავალებების ალგორითმი, კარგად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის შემეცნებით განვითარებაზე, რაც დასტურდება თემატურ ერთეულებში საკითხთა კლასტერების ლოგიკური განლაგებით. კომპლექსური დავალებები და რესურსები მორგებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს

	აღიქვამენ, როგორც მოქნილ ინსტრუმენტს მოსწავლის საჭიროებებზე მოსარგებად. ისინი ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე, რაც ხელს უწყობს ცოდნის სიღრმისეულ გააზრებასა და ფუნქციური უნარების პრაქტიკულ გამოყენებას, თუმცა ზოგიერთი კლასის კურიკულუმის ჩარჩო ღარიბია შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებებით ***რჩევა:*** *სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის (მაგალითად, მე-5, მე-7, მე-11 კლასის) კურიკულუმი და მოხდეს მისი მეტად დატვირთვა შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თითოეული თემატური ბლოკში დამუშავდეს/დასრულდეს შემოქმედებითი პროდუქტით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ინტეგრირებას და სასწავლო პროცესის უფრო მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ სტრუქტურირებას მესამე თაობის ესგ-ს პრინციპების შესაბამისად.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შედეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები I-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და სავალდებულო თემების შესაბამისად. კურიკულუმებში თემების ფარგლებში განსაზღვრულია საკითხები და ქვესაკითხები, სასწავლო აქტივობები, კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მიღწევისკენ. კომპლექსური დავალებების მაგალითები და სასწავლო აქტივობები დაკავშირებულია მოსწავლეთა ყოველდღიურ გამოცდილებასთან და რეალურ ცხოვრებასთან, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ

	სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლეთა შემეცნებითი და კვლევითი უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სკოლაში სწავლება იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგების მიერ წარმოდგენილ მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიულუმების ჩარჩოებში, თემის ფარგლებში მოცემულია საკითხები, გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები და მოსწავლეს განიხილავენ როგორც ინდივიდს, რომელსაც ფასილიტაცია უნდა გაუწიონ სწავლის პროცესის წარმართვისას. მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის კურიკულუმით, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგგმვის შესაძლებლობას. **რჩევა:** სასურველია, საგან მე და საზოგადოებაში, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე

	ცნების დამუშავების პრინციპი. ასევე, მე-9 კლასის ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოში, სავალდებულო თემებში გათვალისწინებული იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი. საგან ისტორიის (8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში) და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოში (11 კლასის კურიკულუმი) მოხდეს საკითხების შინაარსობლივი ნიშნით დაჯგუფება/ გაერთიანება. ასევე დაკონკრეტდეს, რომელ საკითხში, რომელი სამიზნე ცნების დამუშავება მოხდება; განისაზღვროს ქვეცნებები. ცნებები დამუშავდეს თემაში გაწერილი საკითების/საკითხთა კლასტერების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ, როგორიცაა კომუნიკაციის უნარების განვითარება, კულტურული ცნობიერება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, აგრეთვე სწავლის უნარის ფორმირება. კურიკულუმი აგებულია ისე, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას, რაც მოიცავს უცხო ენაზე აზრის მკაფიო და ეფექტურად გამოხატვას, თანამშრომლობასა და კულტურათაშორის კომუნიკაციას. საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შერჩეული თემების განხორციელების პირობებში, პედაგოგები ყველა საფეხურზე შეძლებენ შედეგზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვას და ეროვნული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ესთეტიკური აღზრდის კათერდის საგნობრივი დისციპლინები- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მიერ გაწერილი შუალედური მიზნები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ- დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მაკროცნებები) ორიენტირებულ

	სავალდებულო პროექტების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია შემოქმედებითი ბუნების დავალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. დაგეგმილი კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები მიმართულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების (**მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა**) დამუშავებაზე. პროცესი ხელს უწყობს ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია და თანამშრომლობა. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს მე-2კლასის კურიკულუმი, რათა ზოგიერთ თემასთან (მგ, "მონაცემები") სამიზნე ცნებებისა და საკითხთა ჩამონათვალის ფორმულირება მოვიდეს სრულ თანხვედრაში მათემატიკის სტანდარტთან. ასევე სამიზნე ცნებებთან სასურველია არწეროთ რომელი ქვეცნებები მუშავდება თემის ფასგლებში (მგ, პირველი კლ). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში

	გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომდავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IV კლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხელმისაწვდომია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც მატერიალური, ისე ციფრული რესურსები: სახელმძღვანელოები, პროექტორი, კომპიუტერი, ფლიპჩარტის დაფა, პლაკატები, ასევე სხვადასხვა ვიზუალური და საგნობრივი მოდელები (მაგ.: ადამიანის ჩონჩხი, მზის სისტემის პლანეტები, ფოტოსინთეზის მოდელი, უჯრედის სასიცოცხლო ციკლი, კოვალენტური ბმის სახეები, მეთანის აღნაგობა, ელექტრული მოვლენები და სხვა). გარდა ამისა, სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო ვიდეოები, CK-12 პლატფორმის მასალები და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვებგვერდი, რაც ხელს უწყობს სასწავლო თემების უკეთ გააზრებასა და ექსპერიმენტული სწავლების ელემენტების ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა წვდომა ლაბორატორიულ რესურსებზე. ეაც ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი მეზობელ სკოლასთან, რომლის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა წვდომა ლაბორატორიულ რესურსებზე. **რჩევა:** სასურველია ეტაპობრივად გაძლიერდეს სკოლის ბაზაზე არსებული ქიმიისა და ფიზიკის ექსპერიმენტული სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული რესურსები, რათა გაიზარდოს პრაქტიკული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. სამომავლოდ, სკოლას ქონდეს საკუთარი ლაბორატორია. მიზანშეწონილია ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის კურიკულუმებში სასწავლო რესურსების გამოყენება თემატურ ერთეულებთან უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული და განისაზღვროს, რომელი მატერიალური რესურსი გამოიყენება კონკრეტული საკითხის სწავლებისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი. კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია ისტორიის კურიკულუმის ჩარჩოებში (მე-7, მე-11 და მე-12 კლასებში) დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმის ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის დიგიტალურ, აუდიოვიზუალურ და ინტერაქტიულ მასალებს, რაც ზრდის სწავლის პროცესის მოტივაციასა და ეფექტიანობას. უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მიზანმიმართულად არის შერჩეული სწავლის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ისინი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს, ენობრივ საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც დასტურდება წარმოდენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამივე საფეხურის კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მუსიკა, სახ.და გამოყენებითი ხელოვნება). სამივე საფეხურზე კათედრის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული ბმულები მოცემულ საკითხებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები: "ტელესკოლა", "ხანის აკადემია", GeoGebra და Math.ge-ს პლატფორმაზე არსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები. დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ რესურსების ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობს აბსტრაქტული ცნებების ვიზუალიზაციას და ცოდნის მრავალმხრივ ათვისებას. **რჩევა:** სასურველია ზოგიერთი კლასის კურიკულუმშიც (მაგ, მე10, მე-11) ზოგიერთ თემასთან მოხდეს დამხმარე ციფრული რესურსების უფრო აქტიური ინტეგრირება ცოდნის განზოგადების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. (გამარჯობა რუბი, ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები არაგრიფირებული დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია კომპლექსური დავალებები, პროექტული აქტივობები და პრაქტიკული სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. წარმოდგენილი სასწავლო აქტივობები იძლევა შესაძლებლობას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე და შესაბამისად, არ აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **რჩევა:** სასურველია ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში უფრო მკაფიოდ აისახოს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული

	მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალქეობის პედაგოგებმა გასაუბრების დრო აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. კოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკების, დიფერენცირებული სწავლების მაგალითებით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლებაში ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და სწავლითი სტილები. მაგ. კომპლექსური დავალების და პროექტის განხორციელებისას. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო სხვადასხვა დონეზე მოსწავლეების მხარდაჭერისთვის. საკმარისია რამდენიმე ნიმუში, რომელიც ეფექტურად წარმოჩენს განსხვავებულ სტრატეგიებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. პედაგოგთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ის ცდილობს სასწავლო პროცესი მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ის ქმნის

	მოსწავლეთათვის ინკლუზიურ გარემოს და რესურსებს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს ჩაწერისას პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული დავალებები და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. **რჩევა:** სასურველია, შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო და შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები აგებულია **სკაფოლდინგის** პრინციპით (მარტივიდან რთულისკენ), რაც სხვადასხვა მზაობის მოსწავლეს აძლევს ჩართულობის თანაბარ შესაძლებლობას. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის შერჩევისას. პედაგოგები ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სანდოობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მათ შორის კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური ტესტები და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი. სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი და ფუნქციონირებს შესაბამისი ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების

	სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის. **რჩევა:** მიზანშეწონილია ბუნებისმეტყველების I–VI კლასების კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკებში შესრულების დონეები უფრო დეტალურად იყოს აღწერილი, რათა კიდევ უფრო გამოკვეთილი იყოს შეფასების კრიტერიუმები და მოსწავლის მიღწევების პროგრესის შეფასების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა წარმოადგინეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო თემაზე შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისა რუბრიკები, მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის მიმართულებით. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა შერჩეული კომლექსური დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისაობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დგინდება რომ სკოლაში უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები და ასევე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასებას.

	რჩევა:სასურველია თითოეულ საფეხურზე, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს ცხადი და დეტალური შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის დონე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკები უფრო მეტად ზოგადი ხასიათისა, რამოდენიმე დოკუმენტში არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი სამიზნე ცნებები და დავალებების შესაბამისობა კურიკულუმთან. თუმცა, ინტერვიუს დროს მითითების საფუძველზე მოთხოვნით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში - კონკრეტული დავალების შეფასების ნიმუშის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებელს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადა შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.

	რჩევა: სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (შემოქმედებითი /შემოქმედებითი ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ვალიდური ნიმუშები. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებაზე. კომპლექსური დავალებებისთვის გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ნაშრომის რეფლექსიასა და თვითშეფასებაში. თუმცა, ზოგიერთ განმსაზღვრელ რუბრიკაში ესგ-ს შედეგებთან კავშირი საჭიროებს მეტ მკაფიოობას და კონკრეტიკას **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების შემუშავებისას პედაგოგებმა მეტად გამოიყენონ ესგ-ს მიხედვით მათემატიკის სტანდარტის სამიზნე ცნებები და საგნობრივი შედეგები, როგორც ორიენტირი. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო მეტად დესკრიპტული, კონკრეტულ დავალებაზე მორგებული და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა,

	სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი და ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ დოკუმენტაცია;
- კურიკულუმის შეფასების კითხვარი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- დიაგნოსტიკური ტესტები;
- პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები;
- პედსაბჭოს ოქმი (სასკოლო-სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ);
- დაწყებითი ,საბაზო,საშუალო საფეხურის კათედრების სამოქმედო გეგმები 2025-2026წ.;
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (გრიფირებული სახელმძღვანელოების სია და დამხმარე ლიტერატურა);
- საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები (ელექტრონული რესურსები, ვიდეომასალები, საგანმანათლებლო პლატფორმები, ვირტუალური ლაბორატორიები, Scratch - ი, Khan Academy, GeoGebra-ს, math.ge-ს ფაილები, ტელესკოლის გამოყენებული გაკვეთილების ბმულები);
- შემოქმედებითი ბარათები;
- სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი;
- თვითშეფასების ფორმები;
- სასკოლო კლუბი „ლინგვისტები“ წესდება;
- უცხოური ენის მასწავლებლის სემეტრული ანგარიში;
- გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა;
- კრიტიკული მეგობრის შეფასების რუბრიკა;
- სავალდებულო პროექტების ამსახველი კურიკულუმები (საშუალო საფეხური).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

◦ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი რეფლექსიები, შესრულებული პროექტები და სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების წარმოდგენილი ფოტომასალა, სასწავლო რესურსების გამოყენება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმში განსაზღვრული მიზნებისა და შინაარსის შესაბამისად და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის

	შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ისინი მიჰყვებიან საგნობრივ კურიკულუმებს და ასევე ასახავენ ცვლილებებს, რომლებიც იკვეთება მუშაობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების(ინგლისური ენა,რუსული ენა) სწავლების პროცესი დაგეგმილია და სრულად შესაბამისობაშია სკოლის კურიკულუმის მოთხოვნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. ყველა საფეხურზე გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას. **რჩევა:**. რეკომენდებულია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში , პედაგოგის მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებს სასწავლო პროცესის წარმართვისას. პედაგოგი ცდილობს სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობებში ჩართვას, არაფორმალური განათლების მხრივაც წარმატებით ანხორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და სკოლის მიერ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს

	და დიფერენცირებულ დავალებებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც კურიკულუმთან შესაბამისობას ადასტურებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა სრული დაცვით. ეს შესაბამისობა მათემატიკაში ვლინდება არა მხოლოდ დოკუმენტურ დონეზე, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან გასაუბრებისას. კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს აძლევს მკაფიო ორიენტირს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განსავითარებლად. სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას და მათი პროგრესის დაგეგმვას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისა და პროექტების განმავითარებელი რუბრიკები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, მოახდინოს საკუთარი ნაშრომის რეფლექსია. რაც უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირების პროცესის თანმიმდევრულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცში როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). დაასახელა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სამართლიანი, გამჭვირვალე და სანდო. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ შეფასებას. შეფასების პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებების შეფასების ინსტრუმენტები, დიაგნოსტიკური ტესტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და კურიკულუმის შეფასების კითხვარი, რაც

	ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგსა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. კურიკულუმები გაცნობილია მშობელთათვის, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მოქნილად რეაგირებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე. აღნიშნული დასტურდება მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტებით, რომლებიც ასახავს სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესის ანალიზსა და გაუმჯობესებაზე ორიენტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, გეგმავს მათ გასაჯაროებას, რაც გაწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლას, ასევე, წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, საიდანაც ჩანს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ შეფასების სტანდარტების თანმიმდევრულად და სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად. ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კათედრის ხელმძღვანელი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის ვერიფიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნებში, სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაზეც მოწმობს კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც უშუალოდ დავალების კრიტერიუმებს ეყრდნობა **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს. ვალიდობა დასტურდება იმით, რომ შეფასების ინსტრუმენტები ზომავს ესგ-ით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და კომპეტენციებს. სანდოობა გამოხატულია შეფასების თანმიმდევრულობითა და სტანდარტის ინდიკატორებთან თანხვედრით. გამჭვირვალობა მიიღწევა კრიტერიუმების წინასწარი კომუნიკაციით, გასაუბრებისას გაირკვა, რომ რუბრიკები თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საკლასო ოთახებში, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს პროცესის უკეთ აღქმაში ეხმარება. ასევე დასტურდება მოსწავლეების თვითშეფასებით და რეფლექსიით. შეფასების სამართლიანობა კი ვლინდება ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებში

	(წარმოდგენილია მოსწავლეთა ემოქმედებითი და შემაჯამებელი ნამუშევრები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და მასწავლებელთა რეფლექსიები). **რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი მასალებისა, ზოგიერთი შეფასების რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (საბაზო და საშუალო საფეხურის). სასურველია მათი გადახედვა და უფრო მეტად დაკონკრეტება მათემატიკის სტანდარტის მიზნებისა და კონკრეტული დავალების სპეციფიკის მიხედვით. ეს მინიმუმამდე დაიყვანს სუბიექტური/შემთხვევითი ფაქტების გავლენას და შეფასებას უფრო ვალიდურს გახდის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ენთელის საჯარო სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების პროცესის შიდა მონიტორინგი ხორციელდება სკოლაში ადმინისტრაციისა და საგნობრივი ჯგუფების მონაწილეობით. პერიოდულად მიმდინარეობს შედეგების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი კორექტირება. ვერიფიკაციის მექანიზმები მოქმედებს პრაქტიკის დონეზე და უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას. ასევე რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვას სათანადო წესით. მატერიალური ჟურნალები შენახულია სპეციალურ საცავში. ამჟამად აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლის პირად საქმეებში. მოსწავლეთა შეფასების შესახებ სემესტრული და წლიური ინფორმაცია დაცულია და გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არის მოსწავლის მიერ კლასის საფეხურის დაძლევა/არდაძლევის ბრძანებები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- დაწყებითი, საბაზო ვდა საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ყველა საგნის);
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები;
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრის სხდომის ოქმები;

- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (გრიფირებული სახელმძღვანელოების სია და დამხმარე ლიტერატურა);
- საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები (ელექტრონული რესურსები, ვიდეომასალები, საგანმანათლებლო პლატფორმები, ვირტუალური ლაბორატორიები, Scratch - ი, Khan Academy, GeoGebra-ს, math.ge-ს ფაილები, ტელესკოლის გამოყენებული გაკვეთილების ბმულები);
- კომპლექსური დავალებებები შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები
- განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხური;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- შემოქმედებითი ბარათები;
- სადიაგნოსტიკო ტესტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასების მაგალითები;
- კურიკულუმის შეფასების კითხვარი;
- მშობელთა კრების ოქმები;
- შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები:
  "საქართველოს რეგიონები" მე-4 კლ. 2. "გამძის რუკა" მე-8კლ. 3."საჰაერო და სახმელეთო მარშრუტების დაგეგმარება"- მე-11 კლ. და სხვა კლასების ანალოგიური ნიმუშები. წარმოდგენილია თითეული დავალებისთვის მოსწავლის ნამუშევარი;
- მოსწავლის თვითშეფასება/რეფლექსია;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- ინტეგრირებული გაკვეთილი უცხოურ ენასთან მე-5 კლ./ მასწავლებლის რეფლექსია;
- პროექტი: მე-9-11 კლ.
- პროექტი „ოქროს ციხე". (პროქტის გეგმა, რეფლექსია, ფოტომასალები);

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოებებს, სასწავლო მოდელებსა და მაკეტებს (მაგ.: ადამიანის ჩონჩხი, მზის სისტემის მოდელი, ფოტოსინთეზის სქემა, უჯრედის მოდელი), ასევე ციფრულ რესურსებსა და საგანმანათლებლო პლატფორმებს (CK-12, საგანმანათლებლო ვიდეოები, ვირტუალური სიმულაციები). აღნიშნული რესურსები გამოიყენება კომპლექსური დავალებებისა და პროექტული აქტივობების განხორციელებისას და ხელს უწყობს მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მემორანდუმის საფუძველზე სარგებლობს მეზობელი სკოლის ლაბორატორიული რესურსებით, რაც დამატებით უზრუნველყოფს ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლ რესურსი. კურიკულუმების ჩარჩეობში წარმოდგენილია ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებითი-ელექტრონული რესურსები, რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში დაემატოს უფრო კონკრეტული ჩამონათვალი დამატებითი რესურსებისა (ონლაინ რესურსები, ვიდეო რესურსები და ა.შ), რომლების უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს სასწავლო შედეგებისა და მიზნების მიღწევას და გახდის საგაკვეთილო პროცესს კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მოსწავლეზე ორიენტირებულს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს მოსწავლის მოსწავლის მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში სჩანს რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეთა ინტერესების სურვილების გათვალისწინებით იყენებენ ყველა დამხმარე რესურს რაც მიცემს მათ საშუალებას აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.უცხოური ენების კურიკულუმში

	ძირითადი სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო მიზნებსა და სტანდარტებს. დამატებით, დამხმარე რესურსებად გამოიყენება სხვადასხვა ინტერაქტიული მასალები და მატერიალური რესურსები, რომლებიც ამდიდრებენ სასწავლო პროცესს და უწყობენ ხელს მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში იყენებს კურიკულუმით გაწერილ რესურსებს. როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს, სკოლის სასწავლო ინვენტარს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებელმაც აღნიშნა შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც (მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, საინფორმაციო ხასიათის პოსტერი/პლაკატი და ა.შ.); **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
მათემატიკა	მათემატიკის სწავლების სამივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. ეს რესურსები მჭიდრო კოლაბორაციაშია სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან (მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა) და

	კომპლექსურ დავალებებთან. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად აქტიურად გამოიყენება თვალსაჩინოებები, ონლაინ-პლატფორმები (GeoGebra, Khan Academy, math.ge) და ტელესკოლის გაკვეთილები. რესურსების მრავალფეროვნება ამდიდრებს სასწავლო გარემოს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც პირდაპირ აისახება სწავლის შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარი განხილვისა და შეფასების საფუძველზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ფარგლებში პედაგოგები განიხილავენ და არჩევენ სასწავლო რესურსებს, აფასებენ მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან, სანდოობასა და ასაკობრივ ადეკვატურობას,რაც

	დასტურდება კათედრის სხდომის ოქმით. სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც მასწავლებლების მიერ შექმნილი, ასევე სხვადასხვა ელექტრონული და საგანმანათლებლო პლატფორმიდან მოძიებული რესურსები, რაც უზრუნველყოფს მათი მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** მიზანშეწონილია კათედრის ფარგლებში პერიოდულად მოხდეს გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ეფექტიანობის განხილვა და მათი განახლება სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს ირჩევს პედაგოგი, კათედრასთან შეთანხმებით,მოსწავლეთა საწიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით კლასებისა და საგნების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვას. უცხოური ენების კათედრაზე აღნიშნული პროცესი განხორციელდა კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობით. რესურსები განისაზღვრა თითოეული ენის — ინგლისურის, რუსულისა სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს, სასწავლო მიზნებთან შესაბამისობას და მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებას. **რჩევა**:სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მისაღწევ შედეგებთან **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე. პედაგოგები რესურსებს არჩევენ მათი აკადემიური სიზუსტისა და ესგ-ის მოთხოვნებთან თავსებადობის გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია კათედრის დონეზე დამხმარე რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის კიდევ უფრო გაძლიერება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი დამატებითი მასალა გადიოდეს ვალიდაციას (შესაბამისობა ესგ-სთან, მეცნიერული სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა გარანტირებული იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ მასალებში სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც

	მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხელმისაწვდომია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები, მათ შორის თვალსაჩინოებები, სასწავლო მოდელები, მაკეტები, მიკროსკოპი, ლაბორატორიული ჭურჭელი, პროექტორი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა სასწავლო მასალები. აღნიშნული რესურსები გამოიყენება პრაქტიკული აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელებისას და ხელს უწყობს მოსწავლეთა კვლევითი და ექსპერიმენტული უნარების განვითარებას. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გაკვეთილები ტარდება ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, სადაც არ არის არც ნიჟარა და არც წყალი მიეწოდება, გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდა, ხელსაწყოები, მულაჟები. სკოლას აქვს ლაბორატორიული ჭურჭელი, აქვს რეაქტივები (შეძლებისდაგვარად). **სწავლების საბაზო და საშუალო** საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების გასავითარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფუნქციონირება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პედაგოგი გვერდით სოფელში არსებულ სკოლაშიც ასწავლის, სადაც ახალი გარემონტებული სასკოლო ლაბორატორიაა და

	მოსწავლეები (შემუშავებული განრიგის მიხედვით: კლასების გაკვეთილებისა და დღეების შესაბამისად) მიჰყავს იქ. სკოლამ მნიშვნელოვანია დაადასტუროს ლაბორატორიულ რესურსებზე წვდომა დოკუმენტური სახით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით 30.8.2026 - მდე პერიოდში უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარის შეძენას. ***რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 30.8.2026 - მდე, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის სივრცის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*** ***ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სწავლის მიზნების შესაბამისია. პედაგოგები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის დამხმარე რესურსებს, რომელბის ბოლომდე არ აქვთ ასახული საგნობრივ კურუკულუმებში. **რჩევა:** სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს), რათა მოხდეს სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრებისას და თვითშეფასების კითხვარის გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებსა და არაფორმალური განათლების ელემენტებს (კლუბურ მუშაობას), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწეულ იქნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას შესაბამისი მატერიალური ბაზით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინება ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს. სასწავლო სივრცე აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარითა (დაფის სახაზავი, ფარგალი...) და ტექნოლოგიური საშუალებებით (კომპ, პროექტორი), რაც საშუალებას იძლევა სრულფასოვნად განხორციელდეს მათემატიკური ექსპერიმენტები, კვლევითი სამუშაოები და ციფრული რესურსების გამოყენება. მატერიალური გარემო ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ გარე სივრცეში განთავსებულ ორ სპორტულ მოედანს. ასევე აქვთ შიდა დახურული სივრცე მოწყობილი მაგიდის ჩოგბურთისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	სკოლა აღჭურვილია ყველა ასჭირო მატერიალური რესურსით, კომპიუტერებით, ელ. საშუალებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები,

	ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წვდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სკოლას სრულად არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი ყველა საგანში. სკოლას ჰყავს ორი წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები. სკოლას ჰყავს ერთი მოწვეული მასწავლებელი არჩევით საგანში. მიუხედავად ამისა არის საგანი (მუსიკა), სადაც არ არის შესაბამის საგანში სერტიფიცირებული ადამიანური რესურსი და შეთავსებული აქვს სხვა საგნის მასწავლებელს (მოცემულ საგანს ასწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი). აღნიშნულ პრობლემას სკოლა ხსნის შემდეგი გარემოებით: მოცემულ მასწავლებელს აქვს მუსიკალური განათლების შესაბამისი დიპლომი და დაწერილი აქვს განცხადება, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გავა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე და ჩაუბარებლობის შემთხვევაში თავად დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (გრიფირებული სახელმძღვანელოების სია და დამხმარე ლიტერატურა);
- საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები (ელექტრონული რესურსები, ვიდეომასალები, საგანმანათლებლო პლატფორმები, ვირტუალური ლაბორატორიები, Scratch - ი, Khan Academy, GeoGebra-ს, math.ge-ს ფაილები, ტელესკოლის გამოყენებული გაკვეთილების ბმულები);
- სასწავლო თვალსაჩინოებები და საგნობრივი მოდელები;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- ტექსტური რედაქტორის განმსაზღვრელი შეფასება;
- პრეზენტაციის პროგრამის განმსაზღვრელი შეფასება;
- დაწყებითი ,საბაზო ვდა საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ყველა საგნის);
- მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- კათედრების 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმები;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმები
- კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებებები, შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები;
- შემოქმედებითი ბარათები;
- სასკოლო კლუბი „ლინგვისტები“ წესდება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ: შემუშავება, ფორმა, პერიოდულობა, განვითარება, და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა მზაობა განახორციელონ მონიტორინგი და შეფასება გაწერილი ვადებისა და წესების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას დაადგინოს პრობლემა და დასახოს მისი გადაჭრის გზები. ამ ეტაპისთვის სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრების მეთოდით. საგაკვეთილო პროცესზე ხდება დასწრება და დაკვირვება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები. საგაკვეთილო პროცესში დასწრების საფუძველზე ხდება მასწავლებლების მხარდაჭერა, მათთვის კონკრეტული რჩევების მიცემა და სამომავლო განვითარებისთვის გეგმების დასახვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ანგარიშები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ეყრდნობა როგორც მოხსენებებსა და ანგარიშებს, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას, აკვირდება მათი მიღწევების დინამიკას. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის შეფასება დაფუძნებულია სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, მასწავლებლები თვალ-ყურს ადევნებენ თითოეული მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესს, ახალი სასწავლო თემის დაწყებამდე ადგენენ მოსწავლის წინარე ცოდნის ხარისხს, აკვირდებიან და ინიშნავენ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, ასევე რამდენად ახერხებს გააზრებული და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციური გამოყენება. ყოველი გაკვეთილი იგეგმება ისე, რომ თითოეული მოსწავლისთვის ცნობილია რა კრიტერიუმებით აფასებს მასწავლებელი მის სასწავლო აქტივობას. მასწავლებლები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და განმავითარელი შეფასების სხვადასხვა ფორმას. იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები იყენებენ ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელსა და განმავითარებელს. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ამ ტიპის შეფასებით ადგენენ მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასებით კი ადგენენ თითოეული მოსწავლის სწავლის განვითარების დინამიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა მზაობის მოსწავლის არსებობას სკოლაში და მათ შეფასებას ახორციელებს ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. შესასების რუბრიკები ძალიან მრავალფეროვანი და მოსწავლეთა დავალებებს მორგებულია. ასევე, კოლა მუშაობას აფასებს როგორც აკადემიური

საათების და აკადემიური მოსწრების მიხედვით, ითვალისწინებს დამატებით მუშაობას, ღონისძიებებს, მშობელთა და მოსწავლეთა განწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მოწოდებულ დოკუმენტებზე და მასწავლებლებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ შეფასების მიზანია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა, რათა ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და დირექტორს ჰქონდეს ინფორმაცია თუ რა ტიპის დახმარება ან წახალისება სჭირდება მოსწავლეს, რაც მისცემს მასწავლებლებს იმის შესაძლებლობას, დააკვირდნენ სწავლა-სწავლების ტენდენციებს, როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე. შეფასების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის მონაცემი: წერითი და ზეპირი დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, დაკვირვება და პროექტული აქტივობები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და ჩართულობის კომპლექსურ შეფასებას. ასევე, ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;
- კათედრების ოქმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებლების ანალიზები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესსა თუ წერებში გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, რაც შემდეგ აისახება მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში. სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ზრუნავს კურიკულუმების გადამუშავებასა და განახლებაზე. გადამუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგსა და შეფასების ელემენტებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში უკვე ასახულია დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა ან არ იმუშავა კარგად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინტერესი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრების ანგარიშები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 16.4.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მედეა მაქაცარია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნათია ქოქუაშვილი

დომინიკა აბაშიძე

ლანა არახამია 

თამარი მურუსიძე

ნანა ნოზაძე

ნათია კილაძე

ეკატერინე ცნობილაძე 

ნინო ჯოჯიშვილი

ეკატერინე ხუცოშვილი 

მარიამ ლეკიშვილი